

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ბრძანებათა და ინსტრუქციათა



# პრეპეულო

# СБОРНИК

# ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

10-11

თბილისი—ნოემბერი



თბილისი—1962

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1962 წ.  
22 ოქტომბრის № 928 ბრძანება

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ქალაქ ცხინვალისა და ცხინვალის რაიონის ზოგიერთ სკოლაში სასწავლო-აღმწრდელი-ბითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

გავეცანი რა სკოლების სამმართველოს მიერ წარმოდგენილ მოხსენებით ბარათს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ქალაქ ცხინვალისა და ცხინვალის რაიონის ზოგიერთ სკოლაში სასწავლო-აღმწრდელი-ბითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ, აღვნიშნავ, რომ მიუხედავად ერთგვარი წარმატებებისა, ქალაქ ცხინვალისა და ცხინვალის რაიონის ზოგიერთი სკოლის მუშაობაში ადგილი აქვს მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს ცალკეული დისციპლინებისა და საწარმოო სწავლების, საყოველთაო განათლების კანონის განხორციელებისა, სკოლებში მეთოდური მუშაობისა და სხვა დარგში. სკოლების ერთ ნაწილს ჯერ კიდევ არ გარდაუქმნია მუშაობა ახალ მოთხოვნილებათა შესაბამისად, სუსტია დირექტორებისა და სასწავლო ნაწილის გამგეების ხელმძღვანელობა და კონტროლი, ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა მოსწავლეთა საგნობრივი წრეების მუშაობას და სხვა.

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სკოლების სამმართველოს მიერ წარმოდგენილი მოხსენებით ბარათი განსახილველად და საჭირო ღონისძიებების გასატარებლად გადაეგზავნოს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილებას.

2. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების გამგემ ა.მ. გ. ძაგოვემა გატარებულ ღონისძიებათა შესახებ განათლების სამინისტროს წარმოდგინოს ანგარიში არა უგვიანეს 15 ნოემბრისა.

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების

სამმართველომ (ამხ. დ. ჯავახია) მოახდინოს ამ ბრძანების შესრულების შემოწმება 1963 წლის მეორე კვარტალში.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს  
კოლეგიის 1962 წ. 12 ოქტომბრის დადგენი-  
ლება.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი თ. ვ. ლაშქარაშვილი



საქართველოს სსრ განათლების მინისტრს  
აშხ. თ. ვ. ლაშქარაშვილს

მოსხენებითი ბარათი

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ქალაქ ცხინვალისა და ცხინვალის რაიონის ზოგიერთ სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

მიმდინარე წლის 10/IX-დან 17/IX-მდე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბიუროს 1962 წლის 3 მაისის (ოქმი № 17/(8) დადგენილებების საფუძველზე თქვენი დავალებით ბრიგადამ გ. ნ. შენგელიას, დ. ტ. თაბუკაშვილის, ო. დ. ვახტანგაძის, მ. ი. ნამჩყვანიძის და ბ. ა. გოგალაძის შემადგენლობით ქ. ცხინვალისა და ცხინვალის რაიონის ზოგიერთ სკოლაში შეამოწმა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობა.

შემოწმებაში მონაწილეობა მიიღეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების გამგის მოადგილემ ნ. თუთარაშვილმა, შტატგარეშე ინსპექტორებმა ო. კასრაძემ და ბ. ხაჭაპურიძემ. შემოწმებულ იქნა ცხინვალის 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4 და ცხინვალის რაიონის ქსუსის (რუსულ-ქართული), კეხვის საშუალო და ქურთის (რუსულ-ქართული) რვაწლიანი სკოლების მუშაობა. მოსმენილია 45 მასწავლებლის 52 გაკვეთილი.

შემოწმებით გამოირკვა, რომ ქ. ცხინვალისა და ცხინვალის რაიონის სკოლების ერთ ნაწილს სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში მოპოვებული აქვთ ერთგვარი წარმატებები.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადებასთან დაკავშირებით დროულად ჩატარდა სკოლების მიმდინარე და კაპიტალური რემონტი. სკოლები ძირითადად დაკომპლექტებულია მასწავლებელთა კვალიფიციური კადრებით. ყველა საშუალო სკოლა გადაყვანილია საწარმოო სწავლებაზე. ძირითადად კარგად არის შერჩეული საწარმოო სწავლების პროფილები და ბაზები.

მასწავლებელთა ერთი ნაწილი პასუხისმგებლობით ეკიდება თავის საქმეს, გულდასმით ემზადება გაკვეთილებისათვის, სწავლე-

ბაში საფუძვლიანად იყენებს თვალსაჩინოებას და აძლევს მოსწავლეებს მეცნიერების საფუძვლების მკვიდრ ცოდნას.

ამათგან აღსანიშნავია: რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლებლები: ე. ვახაევა და ლ. კოჩიევა (ცხინვალის მე-2 საშუალო სკოლა), გ. ჩელესაევი (ქსუისის საშუალო სკოლა), ზ. ცხოვრებოვა (ცხინვალის მე-4 საშუალო სკოლა), ფიზიკის მასწავლებელი ნ. კასრაძე (ცხინვალის 1-ლი საშუალო სკოლა), ბიოლოგიის მასწავლებელი თ. ლომიძე (ცხინვალის 1-ლი საშუალო სკოლა). მათემატიკის მასწავლებელი ექ. ჩუბინაშვილი (ქსუისის საშუალო სკოლა), მანქანათმშენობის მასწავლებელი ტ. კახნიაშვილი (კეხვის საშუალო სკოლა) და ხაზვის მასწავლებელი რ. ბაქრაძე (ცხინვალის მე-4 საშუალო სკოლა).

საწარმოო სწავლება და მწარმოებლური შრომა კარგადაა დაყენებული ცხინვალის მე-2 საშუალო სკოლაში (დირექტორი ნ. ოსტიევი) რომლის საწარმოო სწავლების ბაზას წარმოადგენს ცხინვალის სატყეო კომბინატი, სადაც ვაყები ეუფლებიან მებაყვის პროფესიას. სკოლისა და წარმოების ხელმძღვანელთა დაინტერესებით აიხსნება ის ფაქტი, რომ მოსწავლეთა თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობისათვის და მწარმოებლური შრომისათვის მოწყობილია საავეჯო საამქრო და გამოყოფილია თეორიული მეცადინეობის ოთახი, როგორც საამქრო, ასევე თეორიული მეცადინეობის ოთახი აღჭურვილია სათანადო ხელსაწყო-იარაღებით და თვალსაჩინო მასალებით. თეორიულ და პრაქტიკულ საწარმოო სწავლებას ხელმძღვანელობენ სათანადო ცენზისა და გამოცდილების მქონე სპეციალისტები. X—XI კლასების მოსწავლე ვაყები დამოუკიდებლად ამზადებენ სხვადასხვა ავეჯს—კარადებს, მაგიდებს და სხვ.

აღსანიშნავია ისიც, რომ საავეჯო კომბინატთან უკვე დამთავრების პროცესშია სპეციალური საამქრო, რითაც კიდევ უფრო გაუმჯობესდება ქალაქის მე-2 და მე-5 საშუალო სკოლების მოსწავლე ვაყების სწავლების საქმე.

ცხინვალის მე-2 საშუალო სკოლას გარკვეული მუშაობა აქვს ჩატარებული პოლიტექნიკური სწავლებისათვის საჭირო სასწავლო ბაზის შესაქმნელად. სკოლას ეზოში სათანადოდაა მოწყობილი სასწავლო-საწარმოო სახელოსნო-სადურგლო, საზეინკლო და სამკერვალო (გამგე ვ. თანდილოვი), რომელიც ძირითადად აღჭურვილია ყველა საჭირო სათავსოებით და სათანადო ხელსაწყო-იარაღებით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ცხინვალის მე-4 საშუალო სკო-

ლის ხაზვის მასწავლებლის რ. ბაქრაძის კარგი მუშაობა. მას საკუთარი ინიციატივით დაუმზადებია ბრტყელი დეტალები, გეომეტრიული ხაზვისათვის და ტექნიკური დეტალები პროექციული ხაზვისათვის რომელთა საერთო რაოდენობა 100 ცალს აღემატება. მოწონებას იმსახურებს მის მიერ დამზადებული სიბრტყეთა სივრცული სისტემა, რომელშიც ზემოხსენებული გეომეტრიული და ტექნიკური დეტალების მოდელების მოთავსებით მოსწავლეებს უადვილდებათ ნათლად წარმოადგინონ მოცემული დეტალი ყველა ხედში.

ზოგ სკოლაში მოგვარებულია მოსწავლეთა და მასწავლებელთა პირადი საქმეები. განსაკუთრებით გამოირჩევა პირველ კლასებში ჩარიცხულთა პირადი საქმეები ყველა საჭირო საბუთით. აღსანიშნავია ისიც, რომ 1-ლი საშუალო სკოლა (დირექტორი ვ. კასრაძე) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინსტრუქციის (მასწავლებელთა აღრიცხვის, დანიშვნის, გადაყვანისა და დათხოვნის შესახებ) შესაბამისად აწარმოებს მასწავლებელთა დემოგრაფიული ცნობების შეგროვებას. მათში შეტანილია უკანასკნელი 30 წ. განმავლობაში მასწავლებელთა შემადგენლობაში მომხდარი ცვლილებები.

კარგად არის მოვლილი ცხინვალის 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4 საშუალო სკოლების შენობები და ინვენტარი. საკლასო ოთახებსა და დერეფნებში დაცულია სისუფთავე.

მიუხედავად ზემოაღნიშნული მიღწევებისა, ქალაქ ცხინვალის და ცხინვალის რაიონის ზოგიერთი სკოლის მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება. ცხინვალის მე 4 საშუალო სკოლის მოსწავლეების დიდი ნაწილი ამჟღავნებს დაბალ წიგნიერებას. სუსტია როგორც ზეპირი, ისე წერითი მეტყველების კულტურა, უჭირთ წინადადებების დალაგება, ხმარობენ ზედმეტ გამოთქმებს. X კლასის (მასწავლებელი მ. მეშვილდიშვილი) მოსწავლეებს უძნელდებათ დასახელონ წაკითხული მხატვრული ლიტერატურა და მათი პერსონაჟები, ზედმეტია ლაპარაკი ნაწარმოების იდეურ-მხატვრულ ანალიზზე.

ამავე სკოლაში დაბალია მოსწავლეთა წერითი მეტყველების კულტურა. X კლასის 17 მოსწავლიდან მხოლოდ სამი მოსწავლის (საშინაო დავალება) ნამუშევარი აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

მასწავლებელი დემუროვა V—VIII კლასებში ქართული ენის გრამატიკას ზეპირსიტყვიერად ასწავლის. არ აწარმოებს ვარჯიშს, არ იყენებს თვალსაჩინოებას.

ანალოგიური მდგომარეობაა ცხინვალის რაიონის ქსუთის

(მასწავლებლები: თ. ჯავახიშვილი და კ. ხეთაგური) და კვლევის (მასწავლებლები ვ. დათაშვილი და რ. კახიაშვილი) საშუალო სკოლებში.

ძალზე დაბალია მოსწავლეთა ცოდნის დონე რუსულ ენასა და ლიტერატურაში. მასწავლებლები უმთავრესად გატაცებულნი არიან საპროგრამო მასალის გავლით და არა იმით, რომ მოსწავლეებს გაუმდიდრონ სიტყვების მარაგი—სასაუბრო ენა. მოსწავლეებს უჭირთ სწორი პასუხის გაცემა სულ უბრალო კითხვებზე: რა გქვია სახელი, რა გვარი ხარ? გყავს თუ არა მშობლები და რას აკეთებენ ისინი? სად გაატარე ზაფხული და სხვა. მეტყველების, სასაუბრო ენის განუვითარებლობის გამო უფროსი კლასების ბევრი მოსწავლე ვერ ასახელებს შინაურ და გარეულ ცხოველებს, ფრინველებს, წელიწადის დროებს; სწორად ვერ წერს თევებისა და ღღეების დასახელებას. ნაწილი ვერ ერკვევა საკუთარ სახელებში, ბევრი პირდაპირ და არაპირდაპირ მეტყველებაში ერთმანეთში ვერ არჩევს და სწორად ვერ წერს ზმნის განსაზღვრულ და განუსაზღვრელ კილოსა და აწმყო დროის მესამე პირში მოცემულ ზმნას. ერთმანეთისაგან ვერ ანახვავებს ზმნისსართაა და ზედსართავ სახელს, არასწორად წერენ მათ დაბოლოებას. არ შეუძლიათ პირველი პირიდან თბრობის გადატანა მესამე პირში და პირიქით. შეცდომით წერენ რიცხვით სახელებს, საკმაოდ უჭირთ სულ მარტივი წინადადებების გარჩევა და სხვა. ამ მხრივ პირველ რიგში აღსანიშნავია ცხინვალის რაიონის ქსუისის საშუალო სკოლის VIII კლასი (მასწ. ლ. დოგუზოვი), ქუთთის რვაწლიანი სკოლის რუსული სექტორის VI კლასი (მასწავლებელი ფ. ძაგოვეი) ქართული სექტორის VIII კლასი (მასწ. გ. ჯიოვეი), ცხინვალის I-ლი საშუალო სკოლის IV კლასი (მასწ. ვ. თიფიევა), V კლასი (მასწ. ე. კულიჯანოვა) და მე-4 საშუალო სკოლის X კლასი (მასწ. რ. სანაკოევა). აღნიშნული მასწავლებლები საკმაოდ ფლობენ რუსულ ენას, მაგრამ მათ დიდი მუშაობა დაჭირდებათ ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

განსაკუთრებით არაღამაკმაყოფილებლად არის დაყენებული რუსული ენის სწავლება ქაუისის საშუალო სკოლის რუსული სექტორის V კლასში (მასწავლებელი პ. ბაჩურიანი). ამ კლასის მოსწავლეებმა სუსტად იციან რუსული ენა; ხოლო მასწავლებელმა სრულებით არ იცის ოსური ენა. რის გამო მასწავლებელსა და მოსწავლეებს ერთმანეთის არაფერი ესმით.

ძალზე დაბალი ცოდნა გამოამჟღავნეს ალგებრაში ცხინვალის მე-4 საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლეებმა (წელს ასწავლის

მოწინავე, გამოცდილი მასწავლებელი ლ. მათაშვილი). მოსწავლეებს არა აქვთ მათემატიკის ცოდნის საფუძვლები (გასულ წელს ასწავლიდა მასწავლებელი ნ. ხუციშვილი), არ იციან დაყვანილი სხვა კვადრატული განტოლების ამოხსნა. კვადრატული განტოლების ფესვების თვისება; მოაწავლეთა მომზადება იმდენად დაბალია, რომ ორწევრიდან ფესვის ამოღებისას თვითეული წევრიდან ცალ-ცალკე ამოიღეს ფესვი.

ქსუისის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა (მასწ. მ. ფუხაევა) არ იციან არითმეტიკული პროგრესიის ძირითადი თვისებები, პროგრესიის სხვაობის აოვნა, კეხვის საშუალო სკოლის XI კლასის (მასწ. გ. აღუაშვილი) მოსწავლეებმა ალგებრაში სრული უცოდინარობა გამოამჟღავნეს, არ იციან უტოლობის ძირითადი თვისებები, ნიუტონის ბინომის განამწკრივის ფორმულა და სხვა.

სერიოზული ნაკლოვანებები გააჩნია ფიზიკა სწავლებას შემომხებულ სკოლებში. ქსუისის საშუალო სკოლაში არ წარმოებს დენტან დაკავშირებული ცდების დემონსტრირება, რადგან ამ სკოლის ქართულ-რუსული სექტორის ფიზიკის ნ მასწავლებელს ვერ მოუხერხებია აკუმულატორის დამუხტვა და გრენეს ელემენტისათვის ელექტროლიტის მომზადება. მასწავლებლები გ. კვიციანი, ს. ჯიოევი ფიზიკას ძირითადად ექსპერიმენტის გარეშე ასწავლიან. მათ არ გამოუყენებიათ ისეთი ხელსაწყოებიც, რომლებიც დენის წყაროს სოულებით არ საქროებენ.

განვლილი მასალის უცოდინარობა გამოავლინეს ქსუისის საშუალო სკოლის XI კლასის (მასწავლებელი ს. ჯიოევი) მოსწავლეებმა. სუსტად იციან მაგნიტური ველის ინდუქცია. არ იციან დენის ძალის, ძაბვისა და წინააღმდეგობას შორის დამოკიდებულება, დენის ქიმიური და სითბური მოქმედება. აღნიშნულ საკითხებზე ვერ ჩამოაყალიბეს ძირითადი კანონები.

მოუმზადებელი გამოცხადდა გაკვეთილზე ცხინვალის მე-4 საშუალო სკოლის IX კლასის ფიზიკის მასწავლებელი ნ. გოგიძე, ახალი მასალის „პორიზონტისადმი კუთხით გასროლილი სხეულის მოძრაობის“ ახსნა 8 წუთში დაამთავრა.

სკოლების ერთ ნაწილში დაქუცმაცებულია ფიზიკის საათები, იგი მათემატიკის მასწავლებელთა დატვირთვის შესაყებად არის გამოყენებული. ცხინვალის მე-4 საშუალო სკოლაში მასწ. ნ. გოგიძეს მხოლოდ ორი საათი აქვს, ქსუისის საშუალო სკოლის მასწავლებელს ე. ჩუბინაშვილს და ნ. ლაფაჩა სამ-სამი საათი, ხოლო კეხვის საშუალო სკოლაში მასწ. ო. ჯანელიძეს 4 საათი, მაშინ, როცა ამ სკოლებში ფიზიკის ძირითად მასწავლებელთა პედაგოგიური დატვირთვა 14-15 საათს არ აღემატება.



ცხინვალის რაიონის ქსუისის საშუალო სკოლაში ქიმიისა და ბიოლოგიის საათები დაქუცმაცებულია მასწავლებელთა შორის, მასწ. გ. ტარიელაშვილი რუსული სექტორის VIII, XI კლასში წავლის ქიმიას, ხოლო ქართული სექტორის IX კლასში ზმის საფუძვლებს. მასწავლებელი ნ. მაისურაძე მხოლოდ ქართული სექტორის IX კლასში ასწავლის ქიმიას, ხოლო ფ. ჩელესაივი რუსული სექტორის IX კლასში და ა. შ. ბიოლოგიის მასწავლებელი ვ. ტარიელაშვილი მოუმზადებელი გამოცხადდა გაკვეთილებების საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი თ. დედანაშვილი არ მუშაობს საკუთარ თავზე, სათანადოდ ვერ ერკვევა მცენარეთა და ცხოველთა სუნთქვის პროცესში. უცნელდება ერთმანეთისაგან განასხვავოს ფოტოსინთეზი (ორგანული ნივთიერების წარმოქმნა მცენარის ფოთოლში) და მცენარის სუნთქვა.

ცხინვალის მე-4 საშუალო სკოლის VIII კლასის (მასწ. რ. არუთინოვა) მოსწავლეებმა სუსტად იციან თუ რას შეისწავლის ბიოლოგია, ადამიანის ანატომია, ფიზიოლოგია და ადამიანის ორგანიზმის ზოგადი მიმოხილვა.

ბიოლოგიის მასწავლებელთა ერთი ნაწილი არ არის დაუფლებული ხელსაწყო-იარაღების გამოყენების ტექნიკას.

რიგი ნაკლოვანებები გამოვლინდა საწარმოო სწავლებაში. ცხინვალის „ვიბრომანქანების“ ქარხანაში, სადაც საწარმოო სწავლებას გადიან ცხინვალის 1-ლი და მე-3 საშუალო სკოლების ვაჟები, მიუხედავად იმისა, რომ აგებულია 5-ოთახიანი სასწავლო საწარმოო სახელოსნო, რომლის სამ ოთახში მოწყობილია ელექტროტექნიკის, საზეინკლო და სახარატო საამქროები. ფართობით (25-30 კვ. მ.). განათებით და ტექნიკური მოწყობილობით იგი ვერ ამყოფილებს მოთხოვნებს. სახარატო საამქროში მხოლოდ სამი სახარატო და ერთი საბურღი დაზგა დგას. ამ უკანასკნელის მუშაობა უსაფრთხოების თვალსაზრისით არ არის მიზანშეწონილი.

თეორიული მეცადინეობის ოთახებში არ არის არავითარი თვალსაჩინოება, ტაბულები, სქემები, მოდელები და სხვა.

სახელოსნოში არ არის მოვარებული მოსწავლეთა პირადი ჰიგიენის დაცვის საკითხი, არა აქვთ ხელსაბანი, შხაბი და სხვა.

ქარხნის ადმინისტრაციასა და სკოლის ხელმძღვანელებს შორის ურთიერთობის უქონლობით უნდა აიხსნას ის, რომ 11 სექტემბერს ჩაიშალა პრაქტიკული მეცადინეობა ცხინვალის 1-ლი საშუალო სკოლის X კლასის ვაჟებთან იმიტომ, რომ სახარატო საქმის ინსტრუქტორ-მასწავლებელი ფ. გაგლოვეი ორკვირიან მივლინებაში აღმოჩნდა გაგზავნილი. საზეინკლო საქმის ინსტრუქტორ-

მასწავლებელი ლოგუზოვი ადგილზე იყო, მაგრამ მუშაობას არ იწარმოებდა და განაცხადა „არაერთიარო საშუალო არ გვაქვს“. თუ მის განცხადებას დაეჯერებოდა მაშინ ასეთ შემთხვევებს სხვაგვარად უნდა განვიხილავდით. ჰქონია ადგილი. ანალოგიური მდგომარეობა იყო სამწყობო საამქროში (ინსტრუქტორ-მასწავლებელი კახავეი).

სათანადოდ არ არის დაყენებული მანქანათმცოდნეობის სწავლება ცხინვალის 1-ლი საშუალო სკოლის IX კლასში. მასწ. მ. ჩიგოვევი კარგად არ იცნობს სასწავლო პროგრამას. პროგრამით გათვალისწინებული გადასაცემი მასალა-მექანიზმების და მანქანების გამოყენება სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში შეცვლილი იქნა უსაფრთხოების ტექნიკით, მაშინ როცა ეს საკითხი მანქანათმცოდნეობის სასწავლო პროგრამით არ არის გათვალისწინებული. ზოგ სკოლაში საჭირო ყურადღება არ ექცევა საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა საშუალოზე მოწყობის საქმეს. ცხინვალის მე-3 საშუალო სკოლა (დირექტორი რ. ცხოვრებოვი) გასულ სასწავლო წელს დაამთავრა 23 მოსწავლემ, რომლებმაც სიმწიფის ატესტატთან ერთად მიიღეს II და III თანრიგის მოწმობები, კურსდამთავრებულთაგან შეიდი მოეწყო უმაღლეს სასწავლებელში, სამი მუშაობს წარმოებაში, მათ შორის ერთი თავისი სპეციალობით, ხოლო 13 კურსდამთავრებული არსად არ მუშაობს. ქარხანას მათთვის არ ჰქონია დაჯავშნული ადგილები. ეს ფაქტი მიუთითებს არა მარტო კურსდამთავრებულებისადმი უყურადღებობაზე, არამედ იმაზეც, რომ საწარმოო სწავლების პროფილების შერჩევა ყოველთვის არ ხდება სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის შესაბამისად.

სერიოზული ნაკლოვანებები გამოვლინდა სოფლის საწარმო-სწავლებელიანი სკოლების მუშაობაშიც.

კეხვის საშუალო სკოლაში (დირექტორი ვ. კახნიაშვილი; სასწავლო ნაწილის გამგე საწარმოო სწავლების დარგში ს. რახმაძე) არასწორად არის შერჩეული პროფესიები. IX—X კლასის მოსწავლეთა ერთი ნაწილი და XI კლასი მთლიანად ორ სპეციალობას — მეხილეობას და მევენახეობას ეუფლება. სკოლაში ადგილი აქვს აღრევას სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების სწავლებაშიც. XI კლასში არ ისწავლება წარმოების ეკონომიკა და ორგანიზაცია კოლმეურნეობებში (საბჭოთა მეურნეობებში). ელექტროტექნიკა და სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაცია. ამ საგნების ნაცვლად ასწავლიან მანქანათმცოდნეობას და მეცხოველეობას, რაც XI კლასში სასწავლო გეგმით არ არის გათვალისწინებული, ხოლო სპეციალური მომზადება მემკენარეობის ერთ-ერთ დარგში, რომელზედაც 4 საათია დათმობილი ცხრილში შეტანილია მემკე-

წარგობის სახით და ისიც 3 საათი. მიუხედავად იმისა, რომ XI კლასის მოსწავლეები უკვე მესამე წელია სწავლობენ მეცხოველეობას, გაკვეთილზე მათ გამოავლინეს არადამაკმაყოფილებელი ცოდნა. არ იციან მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ძირითადი ჯიშები და მათ შორის ის ჯიშები, რომლებიც მათ ოლქშია გავრცელებული, საკვების სახეები და მათი დახასიათება. სწორი კვების მნიშვნელობა ცხოველთა პროდუქტიულობის ამაღლებისათვის, რძის შენახვის სანიტარული მოთხოვნები და მისი პირველადი დამუშავება.

განვლილი მასალის არადამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოავლინეს აგრეთვე ცხინვალის რაიონის ქსუისის საშუალო სკოლის X კლასის (მასწავლებელი ს. მედოევი) მოსწავლეებმა. მეხილეობაში სუსტად იციან ხეხილოვან და კენკროვან მცენარეთა ზრდისა და მსხმოიარობის თავისებურებანი, დამტვერვისათვის ჯიშების შერჩევის მნიშვნელობა და ცალკეული ხეხილოვანი კულტურების მოთხოვნები სინათლისადმი, სითბოსა და ტენისადმი.

მოსწავლეები არ იცნობენ უსაფრთხოების ტექნიკას და საწარმოო სანიტარიის წესებს. აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე დაშვებულნი არიან სამედიცინო შემოწმების გარეშე.

ქსუისის მანქანა-მელიორაციული სადგური, რომელიც ქსუისის საშუალო სკოლის საწარმოო სწავლების ბაზას წარმოადგენს, ვერ აკმაყოფილებს სოფლის მეურნეობის მექანიზატორებისა და ტრაქტორისტების მომზადების მოთხოვნილებას. სათანადო რაოდენობით არ აქვთ მანქანები და ნაწილები.

ზოგიერთ სკოლაში არ ექცევა ყურადღება კაბინეტ-ლაბორატორიების მოწყობის საქმეს. კეხვის საშუალო სკოლაში ფიზიკაში, ქიმიასა და ბიოლოგიაში მკირე რაოდენობით აქვთ ხელსაწყო-იარაღები, თვალსაჩინო მასალები, რეაქტივები და ისიც მოთავსებულია ისეთ აატარა ოთახებში, სადაც არ შეიძლება მეცადინეობის ჩატარება. ქუთთის რვაწლიან სკოლაში ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის ხელსაწყო-იარაღები, თვალსაჩინო მასალები და რეაქტივები სამასწავლებლოში დადგმულ კარადებშია მოთავსებული. ცხინვალის მე-4 საშუალო სკოლის ბიოლოგიის თვალსაჩინო მასალები მოთავსებულია საკლასო ოთახის ერთ კუთხეში, სადაც ორივე ცვლაში მეცადინეობა მიმდინარეობს. კაბინეტში არსებული ტაბულეები არ არის დამუშავებული, ხოლო ხელსაწყოთა ნაწილი ისეა დაზიანებული, რომ მათი გამოყენება არ შეიძლება. ძალზე აატარა ოთახშია მოთავსებული 1-ლი საშუალო სკოლის ბიოლოგიის კაბინეტიც.

კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა ცხინვალის რაიონის ქსუ-  
ისის საშუალო სკოლაში (დირექტორი ნ. ოსტაევა), სადაც ერთ-  
ცვლიან მეცადინეობაზე გადასვლის შედეგად ფიზიკის, ქიმიის და  
ბიოლოგიის კაბინეტები ერთ ოთახშია მოთავსებული. ხელმძღვანელები  
იარაღები არ არის აღრიცხული, მოვლილი და გამოყენებული სწა-  
ვლებაში.

ფიზიკაში ლაბორატორიულ სამუშაოთა ერთი ნაწილის ჩა-  
ტარების შესაძლებლობა არ აქვთ ცხინვალის 1- და მე-4 საშუალო  
სკოლებს, ფართობის სიმცირისა და კაბინეტების სათანადოდ მო-  
უწყებლობის გამო (არ აქვთ საკმაო რაოდენობის მოსწავლეთა მა-  
გიდები, სადემონსტრაციო მაგიდა და საზომი ხელსაწყოები).

ცხინვალის რაიონის საწარმოსწავლეებიან საშუალო სკოლე-  
ბში არ არის მოწყობილი ზოგადტექნიკური და ზოგადაგრონომი-  
ული დისციპლინების კაბინეტები.

ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებლები არ იცნობენ  
საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1961 წლის 21 აგვი-  
სტოს ბრძანებას (№ 617, კრ. 9—10) „ინვენტარისა და მასალების  
აღრიცხვის, მოვლა-პატრონობის და გამოყენების შესახებ“.

ზოგ სკოლაში საჭირო ყურადღება არ ექცევა სასწავლო სახე-  
ლოსნოების მოწყობის საქმეს. კვებია საშუალო სკოლაში სრულე-  
ბით არ ისწავლება ლითონის დამუშავება, საზეინკლო სახელოსნოს  
მოუწყებლობის გამო, ხოლო სადურგლო სახელოსნო მოთავსებუ-  
ლია ძალზე პატარა ოთახში და არ არის შექმნილი მუშაობის პი-  
რობები. ქალაქის 1-ლი, მე-2 და მე-3 საშუალო სკოლებში შედარე-  
ბით უკეთესად არის მოწყობილი სახელოსნოები, მაგრამ მხოლოდ  
ლითონზე მუშაობისათვის, ანალოგიური მდგომარეობაა ცხინვალის  
რაიონის ქსუისის საშუალო და ქურთის რვაწლიან სკოლებშიც.

ცხინვალის მე-4, ცხინვალის რაიონის, ქსუისის, კვების საშუა-  
ლო და ქურთის რვაწლიან სკოლებში სათანადოდ არ არის შედ-  
გენილი სკოლის წლიური გეგმები. შესასრულებელი საკითხები ზო-  
გადია და გეგმაში არ არის გათვალისწინებული ცალკეული საგნე-  
ბის სწავლების მდგომარეობის შესწავლა. ასევე ზოგადია და ნაჩქა-  
რევად არის შედგენილი კლასის ხელმძღვანელთა სამუშაო გეგმები.  
მასში არ ჩანს ცალკეული კლასების და მოსწავლეთა ასაკობრივი  
თავისებურებანი. კლასის ხელმძღვანელთა სუბტი მუშაობით უნდა  
აიხსნას ის, რომ ზოგიერთ სკოლაში ადგილი აქვს მოსწავლეთა  
გარიცხვას უდისციპლინობისა და აკადემიური ჩამორჩენილობის  
გამო. ცხინვალის მე-4 საშუალო სკოლის V კლასიდან გარიცხუ-  
ლია ნ. პაპიაშვილი, ხოლო IV კლასიდან ელ. ტაბატაძე, რომლე-

ბიკ ამჟამად ბავშვთა კოლონიაში იმყოფებიან. ქსუისის საშუალო სკოლის V კლასიდან გარიცხულია თ. გაზაეცა და ბ. ლაფანი, რომლებიც სამი წლის განმავლობაში ერთ და იმავე კლასში იმყოფებოდნენ.

ზოგ სკოლაში მოწოდების სიმაღლეზე არ დგას პედაგოგიური საბჭოს მუშაობა. ცხინვალის რაიონის კეხვისა და ქსუისის საშუალო სკოლებში შემოწმებისათვის არ იყო გაფორმებული პედაგოგის მიმდინარე სასწავლო წლის ოქმები.

ცხინვალის მე-4 საშუალო სკოლაში გასულ სასწავლო წელს სამჯერ განიხილეს მოსწავლეთა დისციპლინების საკითხი და პედაგოგის ერთხელაც არ ჩაუთვლია მიზანშეწონილად ზოგიერთი მოსწავლისათვის ყოფაქცევაში ნიშნის დაკლება, მაშინ, როდესაც ამ უდისციპლინო მოსწავლეებიდან ორი მოსწავლე გაირიცხა სკოლიდან.

შემოწმებულ სკოლებში სათანადო მეთოდური მუშაობა არ სწარმოებს მასწავლებელთა შორის. რატომღაც სკოლებს არ გარდაუქმნიათ მუშაობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებელთა მეთოდური მუშაობის შესახებ ინსტრუქციული წერილის შესაბამისად. შექმნილია მეთოდკომისიები, ნაცვლად მეთოდგაერთიანებისა. კვლავ ერთად არის გაერთიანებული დაწყებითი კლასების მასწავლებლები. მოსმენილი მოხსენებები საჭირო დახმარებას ვერ უწყევენ მასწავლებლებს პედაგოგიური დახელოვნების საქმეში. კიდევ უფრო ცუდია ის, რომ საწარმოო სწავლების კლასების მასწავლებელთათვის არ არის შექმნილი პოლიტექნიკური მეთოდგაერთიანება. არ სწარმოებს სწავლების პროცესში კავშირის დამყარება, პოლიტექნიკური ციკლის ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალურ საგნებს შორის. პოლიტექნიკური ციკლის ზოგადსაგანმანათლებლო საგნების მასწავლებლები არ იცნობენ იმ წარმოებას, რომელშიც მათი მოსწავლეები გადიან საწარმოო სწავლებას.

მასწავლებლები არ იცნობენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს № 563 და № 585 ბრძანებას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფიზიკისა და ბიოლოგიის სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

სკოლებში პედაგოგიურად და მეთოდურად არასწორადაა შედგენილი გაკვეთილების ცხრილი. საგნები არ არის განაწილებული სათანადო შუალედებში, დარღვეულია დღეების დატვირთვის და ძნელად ასათვისებელი საგნების განაწილების პრინციპი. ქართული, რუსული და უცხო ენები რიგ შემთხვევაში შეტანილია თანმიმდევრობით სხვა საგნების ჩართვის გარეშე. ორსაათიანი საგნები გათვალისწინებულია ორშაბათსა და შაბათს. საცდელ-პრაქტი-

კული მუშაობა სოფლის მეურნეობაში V—VI კლასებში, მიუხედავად მისი სეზონურობისა, ცხრილშია შეტანილი და არ არის შეღვენილი ცალკე გრაფიკი.

სკოლების ერთ ნაწილში სათანადო ყურადღება არ ექცევა საყოველთაო განათლების კანონის განხორციელების საქმეს. საჭირო მუშაობა არ წარმოებს აკადემიურად ჩამორჩენილ და მეორეწლიან მოსწავლეებთან. ცხინვალის რაიონის ქსუისის საშუალო სკოლიდან განთესილია 9 მოსწავლე, ცხინვალის 1-ლი სკოლიდან 3 და მე-4 სკოლიდან 3 მოსწავლე.

ქეხვის საშუალო და ქუთრთის რვაწლიან სკოლებს არ ჩაუტარებიათ 7-15 წლის ასაკის ბავშვთა და მოზართა აღრიცხვა.

ზოგ სკოლაში არ სრულდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითება იმის შესახებ, რომ აირველ კლასებში მოსწავლეთა დატოვება შეიძლება დაიშვას მხოლოდ განსაკუთრებული საბატიო მიზეზების არსებობის შემთხვევაში პედაგოგიური საბჭოს დასაბუთებული გადაწყვეტილებით. ცხინვალის რაიონის სკოლების პირველ კლასებში დატოვებულია 55 ბავშვი, მათ შორის ერდვის რვაწლიან სკოლაში 2, ქუთრთის რვაწლიან სკოლაში 2 და ხეთის რვაწლიან სკოლაში 2 მოსწავლე, ხოლო ცხინვალის 1-ლ საშუალო სკოლაში 12 მოსწავლე. ცხინვალის რაიონის 4698 მოსწავლიდან მეორეწლიანია 530 მოსწავლე.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს საგნობრივი წრეები. მათ მუშაობაში ძირითადი ადგილი უკავია რეფერატებს და ისიც პროგრამულ მასალებიდან, საჭირო ყურადღება არ ექცევა მოსწავლეთა ჩაბმას ტექნიკურ წრეებში (ნორჩ ნატურალისტთა, ნორჩ ქიმიკოსთა და ნორჩ ფიზიკოსთა) მოსწავლეებს არ ამზადებინებენ კვეთილებზე გამოსაყენებელ მარტივ ხელსაწყო-იარაღებს და სხვა.

ზოგიერთ სკოლაში სათანადო ყურადღება არ ექცევა საკლასო, ყოფაქცევისა და აკადემიური წარმატების აღრიცხვის ჟურნალების წარმოების საქმეს. ცხინვალის 1-ლი საშუალო სკოლის საკლასო ჟურნალში არ არის შეტანილი დამუშავებული მასალა, ანალოგიური მდგომარეობაა ცხინვალის მე-4 და ქსუისის საშუალო სკოლებში.

მოსწავლეთა ყოფაქცევისა და აკადემიური აღრიცხვის (გასული წლის) ჟურნალებში (თითქმის ყველა სკოლაში) არ არის შეტანილი საზაფხულო დავალების და საშემოდგომო გამოცდების შედეგები. ცხინვალის რაიონის ქეხვის საშუალო სკოლაში მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანა არ არის დადასტურებული სკოლის დირექტორის ხელის მოწერითა და ბეჭდის დასმით.

ცხინვალის რაიონის ქსუისის საშუალო სკოლასთან არსებულ სასკოლო ინტერნატში 20 მოსწავლე ცხოვრობს (დაგეგმილია 46 მოსწავლემდე), ინტერნატი არ არის უზრუნველყოფილი ინვენტარით, არ აქვთ საკმაო რაოდენობის სკამები, სასმელო-სადარბაზო გრაფინები და ჭიქები. ლაშები გაუწყობელია და სხვ. რბილი ინვენტარიდან ლეიბები დაძველებულია და საჭიროებს შეცვლას. არ არის მოგვარებული კვების საკითხი.

ცხინვალის რაიონის ქსუისის, კეხვის და ქურთის სკოლებში არ არის მიზიდული გეგმით გათვალისწინებული სათბობი მასალა.

სკოლების ერთ ნაწილში სუსტად არის დაყენებული სკოლის დირექტორებისა და სასწავლო ნაწილის გამგეების ხელმძღვანელობა და კონტროლი მასწავლებელთა მუშაობისადმი. ცხინვალის რაიონის ქსუისის (დირექტორი ნ. ოსტაევა, სასწავლო ნაწილის გამგე ვ. ტარიელაშვილი) და კეხვის საშუალო (დირექტორი ვ. კახნიაშვილი, სასწავლო ნაწილის გამგე დ. ჯოხაძე) სკოლებში შემოწმების დღისათვის სკოლის ხელმძღვანელებს არცერთი გაკვეთილი არ ჰქონდათ მოსმენილი. განსაკუთრებით სუსტად ხელმძღვანელობს სასწავლო-აღმზრდელი მუშაობას ქსუისის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე ვ. ტარიელაშვილი.

ცხინვალის 1-ლი, მე-4 და ცხინვალის რაიონის ქსუისის საშუალო სკოლებში არ არის მოწესრიგებული ატესტატებისა და მოწმობების მიღების აღრიცხვის სარეგისტრაციო ჟურნალები. ამავე სკოლებში ადგილი აქვს შევსებული ატესტატების გაუცემლობის შემთხვევებს. ატესტატების და მოწმობების მიღებისა და გაცემის სარეგისტრაციო წიგნები არ არის დანომრილი, ზონარ-გაყრილი, დალუქული და შემოწმებული განათლების განყოფილების მიერ.

განათლების სამინისტროს მიერ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში სამუშაოდ გაგზავნილ 90 ახალგაზრდა მასწავლებლიდან არ გამოცხადდა 13, მათ შორის ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტიდან 7, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან 4, თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტიდან 1 და თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტიდან 1.

ცხინვალის რაიონის 20 საშუალო და შვიდწლიან სკოლიდან მასწავლებელთა რეკონსტრუქციის გამო უცხო ენა არ ისწავლება 3 საშუალო და 5 რვაწლიან სკოლაში, ხოლო დანარჩენ სკოლებიდან მხოლოდ ერთ სკოლაში ასწავლის სპეციალისტი. გრემის საშუალო სკოლაში უცხო ენა უკვე ორი წელია არ ისწავლება.

ქ. ცხინვალის და ცხინვალის რაიონის სკოლების მუშაობაში

აქ აღნიშნული და სხვა ნაკლოვანებები იმის შედეგია, რომ განათლების განყოფილებები (ა. ქოზაგვი და კ. ჯიოგვი) პედაგოგიურ კაბინეტთან ერთად სათანადო ხელმძღვანელობას და დახმარებას არ უწევენ სკოლებს. მართალია, ამოწმებენ სკოლებს, საკითხს რიგ ლავენ აღმასკომის სხდომებზე და განათლების საბჭოს სხდომებზე, ზოგჯერ შემოწმების შედეგებზე ბრძანებასაც უგზავნიან სკოლებს, მაგრამ ყველაფერი ეს ხდება ფორმალურად, არ მოწმდება მიცემული მითითებების შესრულების მდგომარეობა, რის გამოც ნაკლოვანებები კვლავ რჩება გამოუსწორებელი.

ცხინვალის რაიონის განათლების განყოფილებაში სკოლების ნარკვევი მასალები არ არის სათანადოდ გაფორმებული. განათლების განყოფილების ადეკაბინეთის გამგე ი. დოიჯიშვილი გამოყენებულია, როგორც სასკოლო ინსპექტორი და მოწყვეტილია მისი იდიოთად საპუშაოვ. რის გამოც რაიონის სკოლებში მეთოდური მუშაობა არადაამაყიყოფილებელია.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ქალაქ ცხინვალის და ცხინვალის რაიონის სკოლებში აღნიშნულ ნაკლოვანებათა დროულად აღმოფხვრის მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია გატარდეს შემდეგი:

1. ქალაქ ცხინვალის და ცხინვალის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებებში:

ა) ყველა სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე განიხილონ ეს მოხსენებითი ბარათი და დასახონ კონკრეტული ღონისძიება სკოლებისა და მასწავლებელთა მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად;

ბ) გადაჭრით გააძლიერონ ხელმძღვანელობა და დახმარება სკოლის დირექტორებისა და სასწავლო ნაწილის გამგეებისადმი. მათი მუშაობა წარმართონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებებისა და მითითებების შესრულების უზრუნველსაყოფად. გააუმჯობესონ პედაგოგიური კაბინეტების მუშაობა, ღრმად და საფუძვლიანად შეისწავლონ ცალკეული სკოლების მუშაობა, ფართოდ მოაწყონ მოწინავე სკოლებისა და მასწავლებლების მუშაობის განხილვები. პერიოდულად მოახდინონ სკოლებზე მიცემულ მითითებათა შესრულების შემოწმება;

გ) სისტემატური ყურადღებისა და კონტროლის ქვეშ იყოს ილიონ ის მასწავლებლები, რომელთა მუშაობაში ადგილი აქვს მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს;

დ) გადაჭრით გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა და დახმარება დაწყებითი კლასების მასწავლებლების სამუშაო გეგმებში სხვა



საკითხებთან ერთად ცალკე გაითვალისწინონ დაწყებით კლასებში სწავლების მდგომარეობის შემოწმება;

ვ) განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი ცალკეულ სკოლებში და კლასების მიხედვით სასკოლო ასაკის ბავშვთა ჯანმრთელობის ალრიცხვისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ 1959 წლის 15 ივლისის №579 დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად;

გ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საწარმოო სწავლების საქმეს. გააძლიერონ კონტროლი და დახმარება თეორიულ და პრაქტიკულ საწარმოო სწავლებაში ჩაბმულ მოსწავლეთა მუშაობაში. მიიღწიონ იმას, რომ საწარმოო სწავლება ხორციელდებოდეს ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცების კანონის სრულ შესაბამისად.

2) სკოლის დირექტორებმა და სასწავლო ნაწილის გამგეებმა:

ა) პედკოლექტივების მუშაობა წარმართონ მოსწავლეთა მაღალ აკადემიური წარმატებისა და შეგნებული დისციპლინის განმტკიცების უზრუნველსაყოფად;

ბ) წინასწარ საფუძვლიანად მოემზადონ გაკვეთილებზე დასწრებისათვის. გაეცნონ გაკვეთილის გეგმას და გადასაცემ მასალას. მიიღწიონ იმას, რომ გაკვეთილების მოსმენის შემდეგ მათი ჩანაწერები არ წარმოადგენდეს გაკვეთილების მსვლელობის სქემატურ აღწერას, არამედ ქმედით დახმარებას უწევდეს მასწავლებლებს მეთოდურ-პედაგოგიური დახელოვნებისა და ცალკეული საგნების ღრმა მეცნიერულ საფუძვლებზე სწავლების საქმეში;

გ) გააუმჯობესონ მუშაობა საყოველთაო განათლების კანონის განხორციელებისათვის. მოაწესრიგონ მოსწავლეთა მოძრაობა, უზრუნველყონ არსებული კონტინენტის შენარჩუნება და არ დაუშვან მოსწავლეთა განთესვა;

დ) დაუყოვნებლივ აღმოფხვრან მეთოდურ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები. გააუმჯობესონ დახმარება ახალგაზრდა და დამწყებ მასწავლებლებისადმი. უზრუნველყონ მტკიცე კავშირის დამყარება ზოგად-პოლიტექნიკური ციკლის დისციპლინებსა და სპეციალურ საგნებს შორის;

ე) გააუმჯობესონ მოსწავლეთა საგნობრივი წრეების მუშაობა. მიიღწიონ იმას, რომ წრეების მუშაობა ხელს უწყობდეს მოსწავლეთა გონებრივი ჰორიზონტის გაფართოებას და დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების გამომუშავებას;

ვ) აღმოფხვრან სკოლის გეგმიანობაში არსებული ნაკლოვანებები. სკოლის წლიურ სამუშაო გეგმაში აუცილებლად გაითვალის-

წინონ ცალკეული საგნების, წერიითი და ზეპირი მეტყველების და-  
წერგვის, მოსწავლეთა შრომითი აღზრდისა და სხვა აქტუალური  
საკითხები; ხოლო კლასის ხელმძღვანელთა აღმზრდელობითი საშუ-  
შაო გეგმები შედგეს ცალკეული კლასებისა და მოსწავლეთა კომპლექსური  
კომპლექსური თავისებურებათა გათვალისწინებით;

ბ) გააუმჯობესონ პედაგოგიური საბჭოს მუშაობა. მეოთხედის  
შედგებებზე მოსმენილი მოხსენებები აუცილებლად უნდა იძლეოდეს  
სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ღრმა ანალიზს, ხოლო და-  
დგენილებებში კონკრეტულად მიუთითებდეს ნაკლოვანებათა გამო-  
სწორებაზე;

თ) გაკვეთილების ცხრილი შეადგინონ პედაგოგიური მოთხო-  
ვნის სრული დაცვით. დაიცვან საგნების განაწილებისა და დღეე-  
ბის დატვირთვის არინციპი საგნების შეთვისების სიძნელის გათვა-  
ლისწინებით;

ი) დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები კაბინეტ-ლაბორატორიების  
მოწყობის და მათი საჭირო ხელსაწყო-იარაღებით შევსებით. ამ სა-  
ქმეში მტკიცედ იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განათლების  
სამინისტროს 1961 წლის 21 აგვისტოს ბრძანებით (№617, კრ.  
9—10) „საქართველოს სსრ სკოლებში სასწავლო კაბინეტების ინ-  
ვენტარის და მასალების აღრიცხვის, მოვლა-პატრონობის და გა-  
მოყენების შესახებ“.

3) ცხინვალის რაიონის ქსუისის საშუალო სკოლაში მოეწყოს  
ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის კაბინეტები.

4) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგე-  
ბისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ სამხრეთ ოსეთის  
ავტონომიური ოლქის სკოლებისათვის დამხმარე მასალების (სახე-  
ლოსნოსათვის ხის მასალის) გაგზავნა აწარმოოს რკინიგზით, რაც  
თავიდან ააცილებს სკოლებს ტრანსპორტის ზედმეტ ხარჯებს.

5) სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლებითა განყო-  
ფილებამ:

ა) მტკიცე კონტროლი დააწესოს მასწავლებელთა შორის საა-  
თების განაწილებაზე და ამიერიდან არ დაუშვას საათების დაქუც-  
მაცემა მასწავლებელთა შორის;

ბ) შეისწავლოს დაწყებით კლასებში რუსული ენის სწავლების  
მდგომარეობა და სათანადო წინადადებები წარმოდგინოს განა-  
თლების სამინისტროს სასწავლო გეგმებში ცვლილებების შეტანის  
მიზნით;

გ) მიმდინარე სასწავლო წლის პირველ ნახევარში შეისწავ-  
ლოს ამ ღონისძიებათა შესრულების მდგომარეობა და მასთან და-  
კავებული ბარათი წარმოუდგინოს განათლების სამინისტროს არა უგვი-  
ნეს 15 ნოემბრისა.

საქართველოს  
განათლების  
მინისტროს  
გენერალური  
სამსახური

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს  
პოლიტექნიკური და საწარმოო სწავლების  
მეთოდკაბინეტის დირექტორის  
მოადგილე გ. შენგელაძე

## დადგენილება

1962 წ. 12 ოქტომბერი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმისა

მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის 1962 წლის საზაფხულო საკურსო ღონისძიებათა შესრულების შესახებ

მოისმინა რა მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორის ამხ. თ. ზახაშვილის ანგარიში 1962 წლის საზაფხულო საკურსო ღონისძიებათა შესრულების შესახებ, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავენ, რომ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა და მისმა ფილიალებმა 1962 წლის ზაფხულის პერიოდში მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარეს რესპუბლიკის სკოლების მასწავლებელთა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა მეთოდურ-პედაგოგიური დახელოვნებისათვის. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3050 მასწავლებლისა და განათლების სხვა მუშაკისა, გადამზადდა 3093, მათ შორის რუსული სკოლების 525 მასწავლებელი, სომხური სკოლების—89, აზერბაიჯანული სკოლების—28, აფხაზური სკოლების—26 და ოსური სკოლების 51 მასწავლებელი.

მიზნინარე წელს აირველად გაიარეს დახელოვნების კურსები ცალკეული საგნების მეთოდურ გაერთიანებათა თავმჯდომარეებმა, ქ. სოხუმის, ქუთაისისა და თელავის დაწესებულებების, ხატვის, სიმღერისა და სამკერვალო საქმის მასწავლებლებმა (კურსები გაიარა 43 სპეციალისტმა) და საუწყებო საბავშვო ბავაბალების აღმზრდელებმა.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა 1962/63 სასწავლო წელს საწარმოო სწავლებლაზე გადასაყვანი სკოლების დირექტორე-

ბისა და სპეციალისტ-მასწავლებელთა დახელოვნებას. დახელოვნების კურსები გაიარა საწარმოოსწავლებიანი სკოლის 214 დირექტორმა და 32 სპეციალისტ-მასწავლებელმა.

სკოლა-ინტერნატებისადმი ქმედითი დახმარების ხელშეწყობის მიზნით, ხელოვნების კურსები და კურს-სემინარები ჩატარდა ქ. რუსთავში, ბათუმში, განთიადში და სხვ.

გადასინჯული და განტვირთული იქნა დახელოვნების კურსების სასწავლო გეგმები და პროგრამები, არსებითი ხასიათის სიახლენი იქნა შეტანილი სკოლის ხელმძღვანელ მუშაკთა და უცხო ენების მასწავლებელთა დახელოვნების კურსების პროგრამებში.

გაუმჯობესდა კურსებზე ყოფნის პერიოდში მსმენელთა კომუნალურ-საყოფაცხოვრებო და მასობრივ-კულტურული მომსახურების პირობები. ზოგიერთი კურსები: უცხო ენათა (ქობულეთში) ისტორიისა და გეოგრაფიის მასწავლებელთა (ცხინვალში) მთლიანად იყო უზრუნველყოფილი საჭირო ინვენტარით. საკურსო ღონისძიებებისათვის გამოყოფილი ობიექტების დირექტორები (ცხინვალის სკოლა-ინტერნატი, თელავის პირველი და მეორე საშუალო სკოლები, ბორჯომის რუსული საშუალო სკოლა და სხვ). ქმედით დახმარებას უწევდნენ ინსტიტუტს კურსების მუშაობის ნორმალურად ჩატარების საქმეში.

ქ. ქუთაისის, აბაშის, ბორჯომის, ვანის, დუშეთის, ზესტაფონის, ზუგდიდის, კასპის, ლანჩხუთის, მცხეთის, ონის, საგარეჯოს, სამტრედიის, საჩხერის, ხაშურის, ცაგერის, წულუკიძის და სხვ. რაიონების განათლების განყოფილებები და პროფკავშირის საქალაქო და რაიონული კომიტეტები სათანადო პასუხისმგებლობით მოეკიდნენ დასახელოვნებელი კონტინგენტის აღრიცხვისა და შერჩევის საქმეს, ჩაატარეს სათანადო მუშაობა მასწავლებლებთან და სკოლის სხვა მუშაკებთან, რის შედეგად უზრუნველყვეს საზაფხულო კურსებზე კონტინგენტის დროულად მივლინება.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ზაფხულის პერიოდში საკურსო ღონისძიებათა გატარების საქმეში აღვილი ჰქონდა რიგ ნაკლოვანებებს:

ქ. თბილისის, ფოთის, რუსთავის, ახალქალაქის, ახალციხის, დმანისის, ყაზბეგის, ლაგოდეხის, ლენტეხის, მარნეულის, მახარაძის, მესტიის, ორჯონიკიძის, თეთრიწყაროს, თიანეთის, ხობის, წითელწყაროსა და სხვ. რაიონების განათლების განყოფილებებმა და პროფკავშირის საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა დროულად არ მოახდინეს დასახელოვნებელი კონტინგენტის აღრიცხვა, არ ჩაატარეს სათანადო ახსნა-განმარტებითი მუშაობა კურსებზე მისა-

ვლინებელ კადრებთან, არ შეისწავლეს მათი მდგომარეობა, ხშირ შემთხვევაში დაკმაყოფილდნენ მხოლოდ მივლინების ბრძანების მიცემით კურსების დაწყების რამდენიმე დღით ადრე. რის გამოც ვერ უზრუნველყვეს დასახელოვნებელი კონტინგენის გეგმების შესრულება. ასე მაგალითად, ქ. თბილისის განათლების განყოფილების მიხედვით არ დაკომპლექტდა რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა დახელოვნების 1 ჯგუფი.

უნდა აღინიშნოს, რომ ქ. თბილისის, დმანისისა და ლენტეხის რაიონების განათლების განყოფილებები სისტემატურად ვერ ასრულებენ კონტინგენტს, ხოლო ყაზბეგის, მარნეულის, მახარაძის, ორჯონიკიძის და ხობის რაიონების განათლების განყოფილებებს არც გასულ წელს შეუსრულებიათ მასწავლებელთა დახელოვნების გეგმები.

ადგილი ჰქონდა კურსების მუშაობაში სხვა სახის ნაკლოვანებებსაც: კვლავ განმეორდა მცირეწლოვან ბავშვებიანი და ავადმყოფი მასწავლებლების მივლინების შემთხვევები, მსმენელების გამოცხადება საჭირო მეთოდური ლიტერატურისა და სახელმძღვანელოების გარეშე.

რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში სათანადოდ არ იყო ორგანიზებული მსმენელთა კვება, კულტურულ-მასობრივი მომსახურება და სხვ.

მასწავლებელთა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა დახელოვნების კურსების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენენ:

1. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს (ამბ. თ. ა. ზახაშვილი):

ა) გაატაროს ქმედითი ღონისძიებანი 1962 წლის საკურსო ღონისძიებათა გეგმის დროულად შესასრულებლად;

ბ) იზრუნოს სალექციო თემატიკაში სიახლეთა დანერგვისათვის. მოახდინოს დახელოვნების კურსების მუშაობის საუკეთესო ნიმუშების გაზიარება განზოგადება;

გ) დროულად მიიღოს ზომები 1963 წლის საკურსო ღონისძიებათა დაგეგმვისა და სკოლის წინაშე მდგომი ამოცანების შესაბამისად კურსების მასწავლო გეგმებისა და პროგრამების დაზუსტება-დამუშავებისათვის.

2. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და

რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს და პროფკავშირის შესაბამისი კომიტეტების თავმჯდომარეებს:

ა) განუხრელად დაიცვან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითებანი კურსებზე მისავლინებელი კონტინგენტის შერჩევის შესახებ; პასუხისმგებლობით მოეკიდონ მასწავლებელთა და განათლების სხვა მუშაკთა კურსებზე დროულად და დანიშნულებისამებრ მივლინებას; მიიღონ საჭირო ზომები იმ პირთა მიმართ, რომლებიც თავს არიდებენ პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს;

ბ) 1962 წლის 20 ნოემბრამდე შეისწავლონ, აღრიცხონ და გადაუგზავნონ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს 1963 წლისათვის მასწავლებელთა და სკოლის სხვა მუშაკთა დახელოვნების კურსებზე მისავლინებელი კონტინგენტი;

გ) 1963 წელს დახელოვნების კურსებზე მისავლინებელი კონტინგენტის საკითხი განიხილონ სამინისტროების კოლეგიებზე, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე სათანადო საქალაქო და სარაიონო პროფკავშირულ კომიტეტებთან ერთად;

დ) გაუწიონ სათანადო დახმარება მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტსა და მის ფილიალებს დახელოვნების კურსებისა და სემინარების ჩატარებაში.

3. ქ. თბილისის, ქ. რუსთავის, ქ. ფოთის, დმანისის, ლენტეხის, ყაზბეგის, მარნეულის, მახარაძის, ორჯონიკიძის, ხობის, ახალციხის, ახალქალაქის, ლაგოდეხის, მესტიის, თეთრიწყაროს, თიანეთისა და წითელწყაროს რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა ა/წ. 20 ნოემბრამდე წარმოუდგინონ განათლების სამინისტროს დასაბუთებული ანგარიში მაწავლებელთა და სკოლის სხვა მუშაკთა დახელოვნების საქმეში ჩატარებული მუშაობისა და 1962 წლის ივნისისა და ივლისის თვეებში დახელოვნების კურსებზე კონტინგენტის შეუსრულებლობის შესახებ, ხოლო ზემოაღნიშნული ქალაქებისა და რაიონების პროფკავშირის რაიკომების თავმჯდომარეებმა ასეთივე ანგარიში წარუდგინონ განათლების უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს.

4. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველოს (ამხ. ა. კვაჭაძე) 1963 წლის ბიუჯეტში გაითვალისწინოს სათანადო სახსრები კურსების მსმენელთა მთელი კონტინგენტის რბილი და მაგარი ინვენტარით მოპარაგებისა და კულტურულ-მასობრივი მომსახურების უზრუნველსაყოფად.

5. მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძე) უზრუნველყოს კურსებისათვის საჭირო რბილი და მაგარი ინვენტარის დროულად გამოყოფა მასწავლებლებელთა და ხელოვნების ინსტიტუტის განაცხადის მიხედვით.

6. აღნიშნული დადგენილება განხილულ იქნას აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროების კოლეგიებზე, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე სათანადო საქალაქო და სარაიონო პროფკავშირულ კომიტეტებთან ერთად.

7. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კადრების (ი. კვაჭაძე) და რესპუბლიკური კომიტეტის საწარმოო-მასობრივი მუშაობის (მ. ლომჯარია) განყოფილებებმა სისტემატური კონტროლი დააწესონ ამ დადგენილების შესრულებაზე.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი

თ. ლაშქარაშვილი

განათლების, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის

თავმჯდომარე ლ. მალლაფერიძე



## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

№ 838

ქ. თბილისი, 1962 წ. 20 სექტემბერი

მე-11 რესპუბლიკური კონკურსის „ნორჩი ტექნიკოსები - სამშობ-  
ლოს“ შედეგებისა და მე-12 რესპუბლიკური კონკურსის ჩატა-  
რების ღონისძიებათა შესახებ

აღვნიშნავ, რომ მე-11 რესპუბლიკური კონკურსი „ნორჩი  
ტექნიკოსები—სამშობლოს“, რომელიც ვ. ი. ლენინის სახ. პიონე-  
რთა ორგანიზაციის შექმნის 40 წლისთავს მიეძღვნა, რესპუბლი-  
კური მნიშვნელობის დიდი მასობრივი ღონისძიება იყო და წარ-  
მოადგენდა მოსწავლე-ახალგაზრდობის ტექნიკური ნიჭისა და შე-  
მოქმედებითი უნარის მცლავრ დემონსტრაციას.

კონკურსის ჩატარებამ გვიჩვენა არა მარტო მოსწავლეების  
მზარდი ინტერესი და მიდრეკილება სამეცნიერო-ტექნიკური შე-  
მოქმედებისადმი, არამედ ის დიდი და შინაარსიანი მუშაობაც, რაც  
რიგმა სკოლებმა და სკოლის გარეშე საბავშვო დაწესებულებებმა  
ნიჭიერ და ტექნიკით დაინტერესებულ მოსწავლეთა გამოსავლი-  
ნებლად გასწიეს.

კონკურსში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ 57 რაი-  
ონის 984 რვაწლიანი და საშუალო სკოლის 33.324 მოსწავლემ,  
რომლებმაც თავიანთი სკოლებისათვის დაამზადეს 20.124 თვითნა-  
კეთი ხელსაწყო ან მოქმედი მოდელი ფიზიკასა, ქიმიასა, მათემა-  
ტიკასა და სხვა სასწავლო საგნებში.

აღვილებზე მოწყობილ სარაიონო, საქალაქო და საოლქო გა-  
მოფენებზე წარმოდგენილი თვითნაკეთობებიდან შერჩეული იქნა  
და ქ. თბილისში შემავჯამებელ რესპუბლიკურ გამოფენისათვის გად-  
მოიგზავნა 1302 სხვადასხვა სახის თვალსაჩინო ხელსაწყო და დი-  
დაქტიკური მასალა.

რესპუბლიკურ გამოფენაზე წარმოდგენილი თვითნაკეთობანი-  
ფიზიკაში, მათემატიკასა და სხვა საგნებში გასულ წლებთან შედ-  
რებით დიდი გემოვნებითა და თემატიკურად სრულყოფილად  
შესრულებული.

რესპუბლიკურ გამოფენაზე სანიმუშოდ შესრულებული ხელ-  
საწყობები და მოქმედი მოდელები წარმოადგინეს: აფხაზეთის ასს-  
რესპუბლიკის (წარმოადგინა 40 ექსპონატი), აჭარის ასს რესპუბ-  
ლიკის (156 ექსპონატი), სამხრეთ ოსეთის ა/ო-ის (120 ექსპონატი),  
ქ. თბილისის (498 ექსპონატი), ქ. ფოთის (107 ექსპონატი), ქ. ქუ-  
თაისის (85 ექსპონატი), თელავის (48 ექსპონატი) სკოლებმა.

სკოლის გარეშე საბავშვო დაწესებულებებიდან განსაკუთრე-  
